საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და
ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

tel : +995 (0)32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ბიუროს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 138-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებულ "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს.

გთხოვთ, უზრუნველყოთ დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურის დაწყება (გამარტივებული წესით).

დანართი 5 ფურცელი.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე **მარინე გვიანიძე**

ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო საქმიანობის ორგანიზაციისა და საქმისწარმოების სამსახური
09-01-08/62
23 05 2024
6 ფურცელი

პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 138-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი.

2. უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი განისაზღვროს **8 087 154** ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) ხარჯები **7 487 154** ლარი:

ა.ა) შრომის ანაზღაურება **5 226 216** ლარი;

ბ) არაფინანსური აქტივების ზრდა **600 000** ლარი.

3. უმაღლესი საბჭოს მომუშავეთა რიცხოვნება განისაზღვროს **117** საშტატო ერთეულით.

4. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული თანხები გათვალისწინებული იქნეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტში.

5. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ბათუმი

-- ივნისი 2024 წ.

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა
კომიტეტი

ტელ:+995(0)32 228 54 48, ელ. ფოსტა contract@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

დასკვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა 2024 წლის 23 მაისის სხდომაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 138-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების, ფრაქციების, ხაზინადართა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს აპარატის წინადადებების საფუძველზე ფორმირებული 2024 წლის ბიუჯეტის პარამეტრები.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პარამეტრებს და მოამზადა შესაბამისი დადგენილების პროექტი. კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ"- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეცეს უმაღლესი საბჭოს ბიუროს შემდგომი პროცედურებისათვის.

კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

დადგენილების მიღება განპირობებულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმადაც უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას და მთავრობისათვის წარდგენას, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით, უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს, არაუგვიანეს საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი მტკიცდება უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, დადგენილებით.

უმაღლესი საბჭოს საფინანსო, შესყიდვებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2024 წლის 14 მაისის N761 წერილით წარმოდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების, ფრაქციების, ხაზინადართა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს აპარატის წინადადებების საფუძველზე ფორმირებული 2025 წლის ბიუჯეტის პარამეტრები. რის საფუძველზეც მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

ბ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

დადგენილებით ხორციელდება უმაღლესი საბჭოს 2025 წლის გადასახდელების დაფინანსების მოცულობის განსაზღვრა ცალკეული მუხლების მიხედვით.

დადგენილებით უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი განისაზღვრა **8 087 154** ლარის ოდენობით. უმაღლესი საბჭოს 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 2025 წელს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი იზრდება 567 856 ლარით.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

მიმდინარე წელთან შედარებით იზრდება მომავალი წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის ზრდა გამოწვეულია ხარჯების და არაფინანსური აქტივების მუხლის ზრდით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები:	2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი	2025 წლის ბიუჯეტის პროექტი
1	2	3
მომუშავეთა რიცხოვნება:	117	117
სულ გადასახდელები	7 519 298	8 087 154
ხარჯები	7 096 693	7 487 154
შრომის ანაზღაურება	4 658 360	5 226 216
საქონელი და მომსახურება	2 368 633	2 140 938
სოციალური უზრუნველყოფა	50 000	100 000
სხვა ხარჯები	19 700	20 000
არაფინანსური აქტივები	422 605	600 000

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის
2024 წლის 23 მაისის სხდომის №3 ოქმიდან

მოისმინეს: მარინე გვიანიძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელმა აღნიშნა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლისა და რეგლამენტის 138-ე მუხლის შესაბამისად, არაუგვიანეს საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას და მთავრობისათვის წარდგენას, რომელიც მტკიცდება უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, დადგენილებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 138-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი არაუგვიანეს 1 ივნისისა, უმაღლესი საბჭოს ბიუროს განსახილველად გადასცემს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტს, უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტის სახით, თავის დასკვნასთან ერთად.

კომიტეტში წარმოდგენილ იქნა უმაღლესი საბჭოს კომიტეტების, ფრაქციების, ხაზინადართა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს აპარატის წინადადებების საფუძველზე ფორმირებული 2025 წლის ბიუჯეტის პარამეტრები (წერილი N761 14/05/2024წ). რომლის საფუძველზეც შემუშავდა დადგენილების პროექტი და მომზადდა დასკვნა.

აზრი გამოთქვეს: ტ.არუშიძემ, ი.ვერძაძემ და ლ.სირაბიძემ.

გადაწყვიტეს: კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილი პარამეტრების საფუძველზე მომზადებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ" და მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეცეს უმაღლეს საბჭოს ბიუროს შემდგომი პროცედურებისათვის.

კომიტეტის თავმჯდომარე **მარინე გვიანიძე**